# გავიგებთ თუ ვერა ვინ როგორ მოიპოვებს წიაღისეულს

batumelebi.netgazeti.ge/news/72415/

ჯაბა ანანიძე

სახელმწიფო წიაღისეულის მოპოვებაზე ინფორმაცია დახურულია. ამას ხელისუფლება მესაკუთრის ანუ წიაღის მომპოვებლის კომერციული ინტერესით ხსნის და გასცემს მხოლოდ ლიცენზიას, სადაც წერია, თუ რა რაოდენობის წიაღისეულის მოპოვების უფლება აქვს მოპოვებული ამა თუ იმ კომპანიას.

წიაღისეულის მოპოვებაზე ინფორმაციის გასაიდუმლოებას ასაჩივრებს საკონსტიტუციო სასამართლოში „მწვანე ალტერნატივა“. პირველი კოლეგია სარჩელს არსებითად დღეს, 22 მარტს, განიხილავს.

„მწვანე ალტერნატივამ“ საკონსტიტუციო სასამართლოს მას შემდეგ მიმართა, როცა „არენჯი გოლდისგან“ წიაღისეულის მოპოვებაზე ინფორმაცია ვერ მიიღო და საერთო სასამართლოს მიმართა.

„საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ „არენჯის“ დაავალა, ინფორმაციის ნაწილი გაეცა, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ მივიღეთ სრული მონაცემები. გასაგებია, რომ შესაძლებელია არსებობდეს კომერციული ინტერესი, მაგრამ საზოგადოებას აქვს უფლება, მიიღოს ზუსტი მონაცემები, მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების კუთხით,“ – მიმართა მოსამართლეებს ნინო გუჯარაიძემ, „მწვანე ალტერნატივის“ წარმომადგენელმა.

ორგანიზაცია წიაღისეულის შესახებ საქართველოს კანონის იმ სამართლებრივ ნორმას ასაჩივრებს, რომლის მიხედვითაც „საინფორმაციო ფონდებისგან“ ინფორმაციის მიღება დაუშვებელია მესაკუთრის თანხმობის გარეშე.

მოსამართლეები დღევანდელ სხდომაზე ასევე დაინტერესდნენ: როგორ რეგულირდება საინფორმაციო ფონდის ფუნქციონირება, რა ინფორმაცია უნდა იყოს ღია და რა – დახურული, ვინ არის პასუხისმგებელი ამ ინფორმაციის გაცემაზე და ა.შ.

„მწვანე ალტერნატივა“ მიიჩნევს, რომ გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოება დაუშვებელია.

სასამართლომ „მწვანე ალტერნატივას“ სხდომაზე მოუწოდა, გაიმიჯნოს: რა უნდა იყოს კომერციული საიდუმლოება და რა – საჯარო.